სწავლების თანამედროვე მეთოდი: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება

მანონი კურტანიძე
ელ–ფოსტა: manoni.kurtanidze524@ens.tsu.edu.ge
ქიმიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყველა ადამიანი ინდივიდუალურია. თვითოეულ მათგანს გააჩნია სამყაროს თავისებურად აღქმის უნარი. ისინი განსხვავდებიან: აზროვნებით, ქმედებით, ემოციებით, ასევე განსხვავებულია მათი სწავლის სტილი. სწავლის სტილი – ეს კოგნიტური და ქცევითი სქემაა, რომელიც სხვადასხვა დავალებაზე მუშაობისას სხვადასხვა დროში მეორდება.

სწავლების ერთ-ერთ სტილს წარმოადგენს – პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (პდს), რომელიც 1960 წელს ჰოვარდ ბაროუს მიერ შეიქმნა მაკმასტერის უნივერსიტეტში (ოტარიო, კანადა) სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ეს არის სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს ,,პრობლემას″. დღეისათვის მეთოდი ადაპტირებულია პრაქტიკულად ყველა დისციპლინისთვის (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, არქიტექტურა, ბიზნესი, იურისპუდენცია, სოციალური და ტექნიკური მეცნიერებები და ა.შ.).

მეთოდი მოიცავს მოქმედების რამდენიმე ეტაპს:



პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს მოქნილი აზროვნების განვითარებაში, პრობლემის ეფექტურად გადაჭრის უნარის განვითარებაში, თანამშრომლობის უნარის განვითარებაში და შინაგანი მოტივაციის ამაღლებაში. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის სტილის აქტიური სწავლების მეთოდია.